

ძილის დეპრივაციის გავლენა აქტიური განრიდების არასრულად
დასწავლილი დავალების გახსენებაზე ვირთაგვებში

სოფიკო გაფრინდაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
საბუნებისმეტყველო მეცნიერებების და მედიცინის ფაკულტეტზე
ნეირომეცნიერების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების
შესაბამისად*

სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებათა სამაგისტრო პროგრამა
მიმართულება: ნეირომეცნიერებები

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნიკოლოზ ონიანი, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2020

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

სოფიკო გაფრინდაშვილი

10 ივლისი 2020

აბსტრაქტი

კამინის მიერ 1957 წელს ჩატარებული ექსპერიმენტების შედეგებმა აჩვენეს, რომ დროის სხვადასხვა პერიოდში არასრულად დასწავლილი აქტიური განრიდების ამოცანის გახსენების მაჩვენებლებს U-ს ფორმის მრუდის სახე აქვს.

წინამდებარე ნაშრომის მიზანი იყო კამინის ეფექტის მრუდის მახასიათებლების დეტალური შესწავლა. შევეცადეთ დაგვედგინა განპირობებულია თუ არა კამინის ეფექტის მანიფესტაცია ხანმოკლე და ხანგრძლივი მეხსიერების ურთიერთქმედებით.

კვლევა ჩატარდა ზრდასრულ, თეთრ, უჯიშო, ორივე სქესის ვირთაგვებზე. მეხსიერების ხარისხის შესასწავლად ვიყენებდით ორმხრივი აქტიური განრიდების ამოცანას. ძილის ტოტალური დეპრივაციისათვის გამოყენებული იყო „ნაზი“ შეხების მეთოდი.

შედეგებმა აჩვენა, რომ კამინის ეფექტის მანიფესტაციაში ძილი მნიშვნელოვან როლს თამაშობს. ძილის როლი გამოიხატება ხანმოკლე მეხსიერების ხანგრძლივ მეხსიერებაში ტრანსფორმაციის პროცესის ხელშეწყობაში.

ძირითადი საძიებო სიტყვები: *აქტიური განრიდება, მეხსიერება, ძილის ტოტალური დეპრივაცია, კამინის ეფექტი, მეხსიერების კონსოლიდაცია.*

Abstract

In 1957 Kamin researched the retention of incompletely learned avoidance response over the varying periods of time. The data obtained by Kamin resulted in U shaped retention curve.

The purpose of present study was a further investigation of characteristics of the Kamin effect in details. Also, we tried to identify if the Kamin effect is conditioned by the interaction of short- and long-term memory.

The testing subjects were inbred albino, adult, laboratory rats both male and female. To study the level of memory we used two-way active avoidance task. For total sleep deprivation was used “gentle handling” method.

The results showed that sleep plays an important role in the manifestation of the Kamin effect. The sleep is facilitating the process of transformation of short-term memory in long-term memory.

Key Words: *active avoidance, memory, total sleep deprivation, the Kamin effect, memory consolidation.*